


POINT DE VUE Organicité et imagicité
Par Sergueï Mikhaïlovitch Eisenstein

ÉTUDES La lanterne magique, une histoire indienne?
Par Amandine d'Azevedo
L'interdiction française de *The Birth of a Nation* (*la Naissance d'une nation*)
(D.W. Griffith, 1915) vue par la presse africaine-américaine
Par Aurore Spiers
Eisenstein et le kabuki
Par Dominique Chateau

ARCHIVES Hogarth a parlé de cinéma:
Eisenstein théoricien de la ligne serpentine d'Hogarth
dans « Organicité et imagicité » (1934)
Par Marie Gueden

CHRONIQUES

REVUE D'HISTOIRE
DU CINÉMA
1895



EISENSTEIN INÉDIT – KABUKI – LANTERNE MAGIQUE
INDIENNE – NAISSANCE D'UNE NATION ET
CONSCIENCE NOIRE



1895
Revue
d'Histoire
du
Cinéma

1895 REVUE D'HISTOIRE DU CINÉMA

1895 revue d'histoire du cinéma est publiée avec le soutien du ministère de la Culture et de la Communication – Centre national du cinéma et de l'image animée (CNC) – et du Centre national du livre (CNL).

L'AFRHC a été lauréate du Prix Jean-Mitry (Pordenone, 2008) et du Prix Raymond-Chirat (Lyon, 2015).

Les commandes des publications de l'association et des anciens numéros de *1895 revue d'histoire du cinéma*, les demandes d'adhésion / abonnement (l'adhésion comprend le service de trois numéros de la revue) peuvent être adressées au siège de l'AFRHC ou effectuées *via* notre site Internet (possibilité d'achat et d'adhésion en ligne) : <http://www.afrhc.fr>

Les manuscrits des articles – conformés au protocole de la revue – doivent être adressés par courriel à l'association : contact@afrhc.fr

Les jugements et opinions exprimés dans les articles que publie la revue n'engagent que leurs auteurs et nullement l'Association française de recherche sur l'histoire du cinéma.

Directeur de la publication

Dimitri Vezyroglou

Comité scientifique

Richard Abel, Dudley Andrew, Janet Bergstrom, Gian Piero Brunetta, André Gaudreault, Tom Gunning, Leonardo Quaresima, Fernao Ramos, Vicente Sanchez-Biosca

Comité de rédaction

François Albera (rédacteur en chef), Laurent Guido, Laurent Le Forestier (secrétaire d'édition), Myriam Juan (secrétaire d'édition), Valérie Pozner (secrétaire d'édition), Benoît Turquety, Valérie Vignaux

Association fondée en 1984

AFRHC 15, rue Lakanal 75015 Paris
E-mail : contact@afrhc.fr
<http://www.afrhc.fr>



Présidents

Jean Mitry (1984-1988)

Raymond Chirat (1988-1992)

Jean-Pierre Jeancolas (1992-1996)

Jean A. Gili (1996-2001)

Michel Marie (2001-2004)

Laurent Mannoni (2004-2005)

Laurent Véray (2005-2010)

Valérie Pozner (2011-2014)

Valérie Vignaux (2015-2018)

Dimitri Vezyroglou (2019-)

Conseil d'administration

François Albera, Manon Billaut (secrétaire générale), Iris Deniozou (trésorière), Marie Frappat, Jean A. Gili, Laurent Guido, Myriam Juan, Laurent Le Forestier, Mélisande Leventopoulos, Stéphanie Louis, Gaël Peton (secrétaire général adjoint), Katalin Por, Valérie Pozner (vice-présidente), Sébastien Roffat (communication – ccommunication@afrhc.fr), Léo Souvillès-Debats (éditions numériques – cine-histoire@afrhc.fr), Guillaume Vernet, Dimitri Vezyroglou (président), Valérie Vignaux

Remerciements

Cinémathèque française, RGALI, National Film Archive of India

Conception graphique : Sungwon Yoon

Mise en pages : Le Vent se lève..., Rioux-Martin, Charente
Imprimerie GB Façonnage, Puymoyen, Charente

ISSN : 0769-0959

ISBN : 978-2-37029-087-8

En couverture : Sergueï Eisenstein, dessin (s. d., RGALI)

1895 REVUE D'HISTOIRE DU CINÉMA

n° 88
AUTOMNE 2019

afrhc

SOMMAIRE

POINT DE VUE

- Organicité et imagicité
Par Sergueï Mikhaïlovitch Eisenstein 9

ÉTUDES

- La lanterne magique, une histoire indienne?
Par Amandine d'Azevedo 47
- L'interdiction française de *The Birth of a Nation* (*la Naissance d'une nation*)
 (D.W. Griffith, 1915) vue par la presse africaine-américaine
Par Aurore Spiers 65
- Eisenstein et le kabuki
Par Dominique Chateau 81

ARCHIVES

- Hogarth a parlé de cinéma :
 Eisenstein théoricien de la ligne serpentine d'Hogarth
 dans « Organicité et imagicité » (1934)
Par Marie Gueden 117

CHRONIQUES

COLLOQUES – EXPOSITIONS – RÉTROSPECTIVES

- Le colloque « Teaching with the Moving Image »
 (Londres, novembre 2018)
Audrey Hostettler et Stéphanie Louis 145

COMPTES RENDUS

- Annamaria Motrescu-Mayes et Heather Norris Nicholson,
British Women Amateur Filmmakers: National Memories and Global Identities
Benoît Turquety 151
- Catherine Russell, *Archiveology: Walter Benjamin and Archival Film Practices*
Benoît Turquety 155
- David Faroult, *Godard. Invention d'un cinéma politique*
Achille Papakonstantis 158
- Jean-Pierre Bleys, *Claude Autant-Lara*
Alain Boillat 167

Patrick de Haas, <i>Cinéma absolu: Avant-Garde 1920-1930</i>	
François Bovier	176
Penser les cinémas africains au prisme des relations internationales et des politiques publiques de la culture	
Abdallah Azzouz	180
Michel Marie, <i>la Belle Histoire du cinéma français en 101 films</i>	
Léa Chevalier	184
NOTES DE LECTURE	
Frédéric Tabet, <i>Le cinématographe des magiciens. 1896-1906, un cycle magique</i>	
Manon Billaut	189
Un renouveau des études eisensteiniennes en France	
François Albera	191
Soso Dumbadze, Nino Dzandzava (dir.), <i>Kote Mikaberidze</i>	
Valérie Pozner	194
VIENT DE PARAÎTRE	
La disparition de Freddy Buache (1924-2019)	
Par François Albera	214
ERRATA, CORRESPONDANCES ET POLÉMIQUES	
	221
RÉSUMÉS / ABSTRACTS / RIASSUNTI	
	224
POINT DE VUE / POINT OF VIEW / PUNTO DI VISTA	
	224
ÉTUDES / STUDIES / STUDI	
	225
AUTEURS / AUTHORS / AUTORI	
	228

სოსო დუმბაძე, ნინო ძანძავა „კოტე მიქაბერიძე“

თბილისი, საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., 2018, 505 გვ.

ეს წიგნი ქართველი მსახიობისა და კინორეჟისორის, კოტე მიქაბერიძის (1896-1973), შემოქმედებით საქმიანობაზე მოგვითხრობს. ის ნათელს ჰფენს მის მოღვაწეობას იმ მასალების საფუძვლიანი შესწავლის წყალობით, რომლებიც საქართველოს არქივებშია დაცული (დამუშავებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში არსებული კინორეჟისორის ფონდი, მისი ოჯახისა და ქართული ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანთა კერძო არქივები, თბილისის კინოსტუდიის კოლექცია, ასევე, საქართველოს ეროვნულ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მოძიებული მასალები). რამდენიმე დოკუმენტი (განსაკუთრებით, ფოტოსურათები) მოპოვებულია გოსფილმოფონდიდან და რუსეთის სხვა ბიბლიოთეკებიდან თუ არქივებიდან. წიგნი იყოფა სამ ნაწილად. პირველი მოიცავს წიგნის ავტორების კვლევას, რასაც ემატება მესამე, ესეი, რომლის ავტორიც არის ტომას თოდე. მეორე ნაწილი, რომელიც ეთმობა მიქაბერიძის კარიერას – თავდაპირველად როგორც მსახიობის და შემდეგ როგორც კინორეჟისორის – შედგება მხოლოდ არქივის დოკუმენტებისგან (შენიშვნები მის სცენარებზე, სხვადასხვა ინსტანციების დასკვნები მისი ფილმების ორიგინალ ვერსიებზე, ავტორის წერილები ან განცხადებები, ხელშეკრულებები, სამუშაო სქემა-მონახაზები და ა.შ.). ასევე, დამატებულია ერთი თავი, რომელიც მოიცავს ბიოგრაფიულ მონაცემებს, და სრულდება მისი 1953 წლის დღიურით; ერთ თავში მოკრებილია დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ 1957 წელს მის დასჯას ანტისაბჭოური მოქმედებების გამო. ამ მეორე ნაწილს ასრულებს ზოგიერთი მისი საჯარო გამოსვლა და ოფიციალური სტატიები. დაბოლოს, მესამე ნაწილი ეძღვნება მის ფილმოგრაფიას და წარმოგვიდგენს ბიბლიოგრაფიულ რესურსებს, რომლებიც მიუთითებენ ქართულ და რუსულ ჟურნალებზე, სადაც ქვეყნდებოდა მისი ფილმების ანალიზი და აგრეთვე სასარგებლო საგნობრივი საძიებელი.

ეს წიგნი არის სრული, საინტერესო და, ამასთანვე, ძალიან კარგად ილუსტრირებული კვლევა: გარდა დიდი რაოდენობის ფოტოგრაფიებისა და კინოგადაღებების პროცესის ამსახველი სურათებისა, აქ წარმოდგენილია ფილმების აფიშები, ოჯახური პორტრეტები, ესკისები და ამონარიდები; წიგნში, ასევე, იხილავთ მიქაბერიძის მიერ შექმნილ მრავალრიცხოვან კარიკატურას ქართველი კინორეჟისორებზე, რომელთა შორის ზოგიერთი ძალიან იუმორისტულია (მაგ., მიხეილ ჭიაურელი, გვ. 349). მიქაბერიძე იყო ნიჭიერი გრაფიკოსი და მხატვარიც კი (იხილეთ მისი ავტოპორტრეტი, გვ. 307); სხვათა შორის, მან, როგორც ილუსტრატორმა, ითანამშრომლა რამდენიმე ქართულ გაზეთთან თუ ჟურნალთან.

არადა, მისი პირველი ნაბიჯები თეატრიდან იწყება, ქუთაისში, სახამ ის "ტიფლისში" ჩამოვიდოდა დამოუკიდებლობის მიერ მოტანილი კულტურული და შემოქმედებითი დუღილის პერიოდში (1918-1921). საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე არსდება სტუდია, სადაც, ძალიან მალე, მას პერსექტიანი

იღებს სამსახურში. კოტე მიქაბერიძე მონაწილეობს *არსენა ჯორჯიაშვილის* (ივან პერესტიანი, 1921) გადაღებაში: ერთ-ერთი პირველი ქართული პროდუქცია იმ სტუდიისა, რომელიც შემდეგში ხდება საქართველოს *სახკინმრეწვი*. ამ ფილმში მისი პარტნიორი არის მიხეილ ჭიაურელი, რომელსაც წინ, როგორც სტალინის მომავალ საყვარელ კინორეჟისორს, ლამაზი კარიერა ელოდებოდა. სტუდიის არსებობის პირველი წლებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამუშავებული ჟანრია რევოლუციურ-სათავგადასავლო ფილმი, სადაც ნაჩვენებია აჯანყება რუსი თავადების წინააღმდეგ. კიდევ სხვა, ასევე, გავრცელებული ჟანრია მელოდრამა, რომელსაც საფუძვლად ტრადიციები უდევს. მიქაბერიძე ასრულებს ხან რევოლუციონერის, ხან რომანტიკული გმირის როლს – ხან კი ორივეს ერთად – ქართული კინოს სხვა სახელგანთქმული წარმომადგენლების მხარდამხარ, რომლებმაც მის მსგავსად კინოკარიერა როგორც მსახიობებმა დაიწყეს (მიხეილ გელოვანი, მიხეილ კალატოზიშვილი – იგივე, მიხეილ კალატოზოვი). ქალ მსახიობებს შორის ნატო ვაჩნაძე, მისი საუკეთესო პარტნიორი, მალევე იქნა აღიარებული მთელი საბჭოთა კავშირის კინოვარსკვლავად. მოკლე ხანში, ამ ახალგაზრდა მსახიობთა წარმომადგენლები – სხვათა შორის, ყველანი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულნი (მსახიობები, დეკორატორები, რედაქტორები, კინოოპერატორები, კინოჩვენების ოპერატორები ...) – მიიჩნევენ, რომ მათ ძალუძთ შეცვალონ ძველი თაობის კინორეჟისორები, რომლებსაც განათლება 1910-იან წლებში ჰქონდათ მიღებული (პერესტიანი, ბეკ ნაზაროვი, ვლადიმირ ბარსკი...). მიქაბერიძეც მათ შორის იყო, მაგრამ მან ვერ მიაღწია იმავე აღიარებასა და კარიერას, რასაც მისმა თანამოაზრეებმა. მიზეზად შეიძლება დასახელდეს როგორც შემთხვევითობა, ასევე „მოქნილობის“ ნაკლებობა: თუ წყაროებს დავუჯერებთ, მიქაბერიძეს ეს “უნარი” არ გააჩნდა.

თუმცა, მისი კარიერა შთამბეჭდავია. აქ შევჩერებით ამ წიგნის განსხვავებულ მიდგომაზე, რომლის დამსახურებაც ზუსტად იმაშია, რომ იგი თავს უყრის არქივის დოკუმენტებს, ყველანაირი “დამუშავების” გარეშე, რომლებიც ლამის კრიტიკული ხედვის არეალის მიღმა რჩებიან: დოკუმენტები მხოლოდ თარგმნილია ინგლისურად (და ხშირად მოცემულია მათი ზუსტი, ფაქსიმილური ასლი). ეს მასალები წამოსწევს მრავალ სააზროვნო თემას საბჭოთა კინოს ისტორიის შესახებ დაწყებული 1920-იანი წლებიდან 1950-იანი წლების დასასრულამდე: მის წყვეტებსა და მის უცვლელ/სტაბილურ მხარეებზე. აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, თუმცა თითოეული თემა იმსახურებს ღრმა კვლევას და შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი წყარო სამეცნიერო კვლევების, სტატიებისა და სადოქტორო ნაშრომებისთვის.

უპირველეს ყოვლისა, ეს წიგნი გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გავეცნოთ საბჭოთა პროდუქციის მატერიალურ ასპექტებს: გადაღებების ორგანიზაცია, მსახიობების აყვანა, ბიუჯეტის საკითხები, მომსახურე პერსონალის ანაზღაურების საშუალებები და ა.შ.; და, აქედან გამომდინარე: კინოფირის მოპოვების სირთულეები, ძალაუფლების გადანაწილება სტუდიის შიგნით, არათანაბარი ანაზღაურება თანამშრომლებს შორის, პერსონალის ხშირი დეფიციტი. მაგ., 1930 წელს 25 ჯგუფისთვის სულ მხოლოდ და მხოლოდ 15 კინოოპერატორია, არ არის საკმარისი ადმინისტრატორები და, რაც მთავარია, აღმასრულებელი მწარმოებლები, რომლებიც პირდაპირ ჟონგლიორობენ რამდენიმე გადაღებას

შორის, რაც იწვევს აბსურდულ სიტუაციებს. ასე რომ, მანამ, სანამ მიქაბერიძე ადმინისტრატორის ან ბუღალტრის მოლოდინშია ბიუჯეტის დასამტკიცებლად, მის კინოოპერატორებს სხვა გადაღებებზე აგზავნიან; ამიტომ ის ვერ იღებს რთველის ვერცერთ (პროექტი „Rote fane“) მნიშვნელოვან სცენას. აქედან გამომდინარე, იგი შეეცდება პროექტის მთავარი თემატიკა გადაიტანოს ღვინის დამზადების მომდევნო ეტაპებზე, მაგრამ აქაც მისი წვალება ფუჭი გამოდგება: გადაკეთებული სცენარის დადასტურებას იმდენი დრო დასჭირდა, რომ ის იძულებული გახდა დაევიწყებინა ის დიდი შრომა, რომელიც მან გადაღებების მოსამზადებლად გასწია, და ფილმი მიეტოვებინა.

მიუხედავად ამ ობიექტური პრობლემებისა, ქართული პრესის ერთი სტატია მას მოიხსენიებს როგორც ჭირვეულ და ზარმაც მუშაკს! თავის გასამართლებლად ის აყალიბებს სათითაოდ ყოველი ეტაპის ჩავარდნის მიზეზებს, რომლებმაც ის ამ მარცხამდე მიიყვანა და მოჰყავს შესაბამისი გადაწყვეტილებები, ბრძანებები, წერილები. ის მხოლოდ ფაქტებს ასახელებს (გვ. 229-239) – შემაშფოთებელია ის არაკომპეტენტურობა და ბიუროკრატიული ბარიერები, იგივე მანკიერი მხარეები, რასაც ის აკრიტიკებს ფილმში ჩემი ბებია (1929), რომელიც სატირული ჟანრის შედეგად ითვლება. ფილმმა გამოსვლის ნებართვა ვერ მოიპოვა და ეკრანებზე არ გამოსულა. მისი კარიერის სხვადასხვა პერიოდში მიქაბერიძე კიდევ არაერთხელ გადაეყრება ასეთ უუნარო ფუნქციონერებს – ჯიუტებს, ზანტებს, არაკომპეტენტურობებს და მხოლოდ პირად სარგებელზე ორიენტირებულებს. ხშირი კრებები და უსარგებლო დისკუსიებში დაკარგული დრო აამკარავებს კიდევ ერთ მანკიერ მხარეს საბჭოთა კინოინდუსტრიისა; ისევე, როგორც სხვადასხვა იერარქიული საფეხურის მომრავლება, რაც იწვევს ფართოდ გავრცელებულ უპასუხისმგებლობას. ყველა ყველას ზემო საფეხურისკენ ამისამართებს და ამიტომ ვერაფერი მიდის წინ; ეს იწვევს ენერგიისა და შემოქმედებითი ძალის გამოფიტვას, რასაც ყოველი ორიგინალური იდეა ერთ პატარა საერთო წერტილამდე დაჰყავს; მოცემული კომენტარები არის ბუნდოვანი და „გაუგებარი“: ხელმძღვანელებს „მიძინებული“ გონება აქვთ, „საკუთარი იდეები არ გააჩნიათ და მხოლოდ იმეორებენ სხვებისგან გაგონილ აზრებს“ (გვ. 362). მას მიუმაგრებენ მოსკოვიდან ჩამოსულ არაფრისმაქნის სცენარისტს, რომელსაც უნდა დაუთმოს თავისი ჰონორარის ერთი ნაწილი.

ამ თვალსაზრისით, მთელ წიგნს თან გასდევს კინორეჟისორთა ანაზღაურების საკითხები: პროექტების შეჩერება, სცენარებისა და წინადადებების უარყოფა წარმოადგენს ნამდვილ მატერიალურ კატასტროფას შემოქმედებითი პერსონალისთვის, რომლებიც არ არიან სტუდიის მუდმივი თანამშრომლები, მიქაბერიძე კი ყოველივე ამას განსაკუთრებული სიმძაფრით იწვევს საკუთარ თავზე. მოსკოვისგან დადასტურების მოლოდინში აგვიანებს წინასწარი ანაზღაურებაც; ზოგიერთი თანხა ირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ცვლილებები შეტანილია და წარდგენილია ახალი ვერსია (ამავდროულად, მბეჭდავების მოძიება ძალიან გართულებულია!). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კინორეჟისორი სტუდიის თანამშრომელია, ხელფასი ირიცხება არარეგულარულად, ერთი ან ორი თვის დაგვიანებით და ისიც მხოლოდ 50%. მიქაბერიძის ცოლი ფეხმძიმეა, მას კი არ აქვს საკმარისი ფული იმისთვისაც კი,

რომ ელექტროენერჯის ხარჯები გადაიხადოს, ხანდახან პურის ფულიც კი არ გააჩნია (იხ. ჩანაწერები მიქაბერიძის 1953 წლის დღიურიდან, გვ. 331-366).

ყველგან ჩნდება კითხვა, თუ რა ურთიერთობაა ცენტრსა და პერიფერიას შორის. გავიხსენოთ, რომ 1927-1928 წლებამდე სახკინმრეწვი არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტუდია, რომელსაც აქვს დიდი პროდუქცია და დისტრიბუციას მთელ საბჭოთა კავშირში ახორციელებს. ის თანდათან აღწევს კომერციულ წარმატებებს, სანამ ცენტრი მის საქმიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებს. საყვედური ეხება როგორც სახკინმრეწვის აღმოსავლურ ტენდენციებს, ასევე, მის პრეტენზიებს იმუშაოს უნივერსალურ თემებზე (რუსული და უცხოური კლასიკოსების ადაპტაციებზე) და, რაც მთავარია, მის იდეოლოგიურ დონეს, რომელიც შეფასებულია როგორც ძალიან სუსტი.

1930-იანი წლების დასაწყისის ინსტიტუციური რეფორმები გოსკინპრომსა და პერიფერიების ყველა სტუდიას ცენტრის ძალაუფლების ქვეშ აქცევს. ამიერიდან ცენტრი გადაწყვეტს ბიუჯეტს, ყოველწლიურად წარმოებული ფილმების რაოდენობას და მათ ორიენტაციას, მაგრამ, ასევე, სტუდიის პერსონალის და აღჭურვილობის საკითხებსაც. ამასთანავე, ის ამონებს სცენარებს, თანხმობას იძლევა კასტინგზე და ა.შ. ქართული სტუდიის მოქმედების სივრცე მკვეთრად მცირდება. მალევე მას ეკრძალება მუშაობა ყველა სხვა თემაზე, გარდა ადგილობრივი თემებისა.

ამ თვალსაზრისით, ავიღოთ ჟანრობრივი საკითხების მაგალითი: 1930-იან წლებში პერიფერიის სტუდიებს მოუწოდებენ ორიენტაცია აიღონ ეროვნული ლიტერატურიდან კლასიკური ნაწარმოებების ადაპტაციებზე. 1920-იან წლებში ისტორიულ თემებზე მუშაობისას რეჟისორები გაცილებით დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ: არ არსებობდა ავტორის ხედვის დამახინჯების შიში, რადგან ეს თემა იმთავითვე უკვე რეაქციონერულად მიიჩნეოდა (იხ. იური ტარიჩის *კაპიტნის ქალიშვილის* მაგალითი პუშკინის ნაწარმოების მიხედვით, რომლის საბჭოური ვერსია ეკუთვნის ვიქტორ შკლოვსკის, 1927 წ.). თუმცა, მომდევნო ათწლეულში უბრუნდებიან ლიტერატურული ნაწარმოებების უფრო ერთგულ ადაპტაციებს. მიქაბერიძემ და დოლიძემ მათი ეპოქის ეს დიდი ცვლილება ვერ გაიაზრეს და ამიტომაც გადააწყდნენ ძლიერ კრიტიკას *კაკო ყაჩაღის* (ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, 1840 წ.) ადაპტაციის პროექტის წარდგენისას.

როდესაც ვკითხულობთ 1937 წლის სექტემბრის სამხატვრო კომიტეტის სხდომაზე მიმდინარე დებატებს, რომელსაც ამ სცენართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ევალებოდა (გვ. 240-261), ვარკვევთ, რომ კომიტეტის მოლოდინი და მათი შემოთავაზებები ერთმანეთს არ ემთხვევა და კონსენსუსი მიუღწევადია. ამიტომ, ამ ფილმს არც არასოდეს გადაიღებენ. უპირველეს ყოვლისა, სცენარისტებს უნდა ჰქონდეთ ისტორიულად სწორი მიდგომა და, ამავდროულად, ისინი უნდა დარჩნენ ლიტერატურული ნაწარმოების ერთგულნი! საქმეც იმაშია, რომ გლეხების აჯანყება კახეთში, რომელიც ნაწარმოების ცენტრშია, დიდი ისტორიული ჭეშმარიტებით არ არის წარმოდგენილი ჭავჭავაძის ნიგნში: ესაა ამბავი თავადზე, ვისი დამოკიდებულებაც რუს დამპრობელთან მიმართებაში ორაზროვანია; ამიტომ სცენარისტებმა გამოიკვლიეს ისტორიული ფაქტები, რათა ამ ეპიზოდისთვის მიეცათ უფრო მეტი ავთენტურობა. ამით ისინი დაშორდნენ პოეტურ ნაწარმოებს,

რაც იმ პერიოდის პრინციპების თვალსაზრისით ერესის ტოლფასია. ამას კიდევ ემატება სხვა პრობლემები: მართალია, საქმე გვაქვს წინარევოლუციურ მოძრაობასთან, მაგრამ მკვეთრად უნდა იგრძნობოდეს, რომ გლეხების აჯანყება, როდესაც მას არ ხელმძღვანელობს ურბანიზებული ქალაქელი პროლეტარიატი, განწირულია მარცხისთვის. ასევე, ხაზი უნდა გაესვას რუსი ჯარისკაცების (რომლებიც არ არიან ოფიცრები) პოზიტიურ როლს; და სომეხი და აზერბაიჯანელი პერსონაჟების პორტრეტები დადებითად უნდა წარმოჩნდეს. სტუდიას უნდა გამოესწორებინა ყველა ეს დეფექტი, რაზეც მას მოსკოვმა მიუთითა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამავე დროს, პროექტი განსხვავებული უნდა ყოფილიყო იმ ფილმებისგან, რომლებიც მსგავს თემებზე უკვე გადაეღოთ. დაბოლოს, სამხატვრო საბჭოს წევრებს გაყოფილი აზრი აქვთ: ზოგი (მაგ., ჭიაურელი) ავტორებს ურჩევს, რომ დაიცვან ჭავჭავაძის რომანტიკული პოეტური სტილი, ზოგი კი (როგორც შენგელაია) უფრო რეალიზმის მომხრეა. თუმცა, დოკუმენტები არ იძლევა საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა არის პროექტზე მუშაობის შეწყვეტის რეალური მიზეზები: წინა პროდუქციების გამეორება? მოსკოვის მოთხოვნა, ფილმები ყოფილიყო უფრო აქტუალურ თემებზე? თუ, უფრო მარტივად, სტუდიის დირექტორის, ამბროსი თითბერიძის, დაპატიმრება, რომელიც ამ კამათს ხელმძღვანელობდა? და რომელიც მალევე დახვრიტეს კიდევ (დიდი ტერორის პერიოდი).

წიგნის კიდევ ერთი მხარე ეხება ტექნიკას და განსხვავებებს როგორც აღჭურვილობაში, ასევე, ცენტრისა და პერიფერიის პროფესიონალებს შორის დახელოვნებაში. როდესაც მიქაბერიძე წამოიწყებს ქართული ეპიკური პოემის *ვეფხვის ტყაოსნის* (შოთა რუსთაველი, მე-12 საუკუნე) ადაპტირებული ვერსიის გადაღებას, ის გეგმავს ამბიციურ დადგმას განსაკუთრებული ეფექტების გამოყენებით, მაგრამ თბილისის სტუდია ნამდვილად არ არის საკმარისად აღჭურვილი და არ ჰყავს საკმარისი სპეციალისტები. პროდუქცია მრავალ სირთულეებს აწყდება და ამიტომ მოსკოვიდან ჩამოდის სპეციალისტი (ივან ნიკიტჩენკო), რათა ადგილობრივ გუნდს ხელი შეაშველოს, მაგრამ იგი თავისი საქმის მიმართ ინტერესს არ იჩენს, არ ცდილობს გაეცნოს ქართულ კულტურას. განსაკუთრებით, უპატივისმცემლოდ და უხეშად ეპყრობა თანამშრომლებს, არ სურს, მათ ცოდნა გაუზიაროს და პრესასთან შეხვედრაზეც კი უარს აცხადებს. ყოველგვარი ახსნის გარეშე, რამდენიმე დღის განმავლობაში არ ცხადდება სამსახურში და მოითხოვს ხელფასის გაზრდას. მას ამაზე დასთანხმდებიან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ბოლოს, მოითხოვს დეკორატორის გამოცვლას და თავის განკარგულებაში მხატვრების მთელი გუნდის გადმოცემას. იმასაც კი ეცდება, რომ კინორეჟისორი დაითხოვონ სამსახურიდან! არადა, მისი სამუშაოს შედეგები არცთუ ისე დამაჯერებელია. რამდენიმე კვირის და თვეების ფარული კონფლიქტის შემდეგ სტუდიის უფროსობა მას ათავისუფლებს თავისი მოვალეობებისგან; ამიერიდან სამუშაოს მთლიანად ადგილობრივი პროფესიონალები ასრულებენ, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავარი ოპერატორი დილმელოვი.

როდესაც ომის შემდეგ მიქაბერიძე გამოთქვამს სურვილს გადაიღოს *ნაცარქექია* – ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში – რაც ბევრ სპეცეფექტს მოითხოვს, ის კვლავ გადაულახავი სირთულეების წინაშე აღმოჩნდება. არადა, ყველაფერი საუკეთესოდ იწყება: მის სცენარს ბრწყინვალედ მიიჩნევს სტუდიის სამხატვრო

კომიტეტის ყველა წევრი, რომელიც 1945 წლის 30 აგვისტოს შეიკრიბება. რა თქმა უნდა, ფილმის იდეოლოგიურ შინაარსს არ აქვს სათანადო სიღრმე და სერიოზულობა. უნდა ითქვას, რომ გმირი, „ის, ვინც ნაცარში იქექება“, არის ზარმაცი პიროვნება, რომელიც თავის სიმდიდრეს მხოლოდ ტყუილითა და ლამაზი სიტყვებით აგროვებს. მიუხედავად ამისა, იოსიფ მანევიჩი მიიჩნევს, რომ ზღაპარი არის "კინემატიკური", მხიარული და სიბრძნით სავსე სატირული ეპიზოდებით გაჯერებული (გვ. 275). მას მალევე, 1945 წლის ოქტომბერში, დაამტკიცებს მოსკოვი (კალატოზოვი და ბოლჩაკოვი), მაგრამ რეჟისორს სურს გადაღება იყოს ფერებში (ცნობილი კინოფირის, Agfa-ს, გამოყენებით, რომელიც საბჭოთა კავშირმა ბერლინში მოიპოვა და ამზადებს ვოლფენში). სტუდიას არ აქვს უფლება ამ ფირის შექენის: მხოლოდ მოსკოვს აქვს ეს პრივილეგია. დაბოლოს, მოთხოვნილი სპეცეფექტების გადასაღები მონყობილობა არ არის ხელმისაწვდომი, რაც, სავარაუდოდ, პროექტის მიტოვების ერთ-ერთი ახსნაა. მიქაბერიძე 1953 წელს მას ნაწილობრივ გადაამუშავებს *ცისკარას ანუ ჯადოსნური სალამურისთვის* (გვ. 268-280). ის კვლავ წარუდგენს თავის მოსაზრებებს სპეცეფექტების შესახებ, რომლებიც საკმაოდ განვითარებულია *ჩემი ბებია* (1929) და *ქაჯეთის* (1936) შემდეგ, სადაც ასევე მრავალი განსაკუთრებული ეფექტი იყო გამოყენებული.

მის ფილმებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის მიუხედავად, კინოსტუდია მიქაბერიძეს თვლის რეჟისორად, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია განახორციელოს ეს ტექნიკური რევოლუცია საქართველოში. ამჯერადაც არაფერი გამოდის. ფილმი გადაეცემა ნაკლებად ამბიციურ რეჟისორს, სერგო ჭელიძეს (რუსული სათაურით *Volshbnaia svirel*, ფილმი გამოვა 1956 წლის სექტემბერში, მხატვრული საბჭოს წინაშე ჩვენებიდან ერთი წლის შემდეგ). ამჯერად ფილმი არის ფერადი, მაგრამ გადამღები გუნდი კრიტიკის ქვეშ ექცევა, რადგან ჩათვლიან, რომ ის ზედმეტად აგრესიულად „ჭრელია“. ეს საყვედური ძალიან ხშირად გაჟღერებულა ათწლეულების წინ მოსკოვში პირველ ფერად ფილმებთან მიმართებაში.

ამ ფილმის შესახებ მოგროვებული სხვადასხვა დოკუმენტი (გვ. 281-300), ასევე, აჩვენებს საბჭოთა კინოს ისტორიის სხვა ასპექტს, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებადაა გაშუქებული საერთო კვლევებში და ეხება საბჭოთა კინოკრიტიკას, მის ძალადობრივ მხარეს. კომსომოლის მიერ *ნიქარაზე* გამოთქმული საყვედური არის განსაკუთრებულად მტრული (აგრესიული), ამასთანავე, მოკლებულია ყოველგვარ სერიოზულ ანალიზს (მიქაბერიძე თავის დღიურში ამას ხსნის იმით, რომ ზოგიერთი ავტორი, არის რა წარუმატებელი მსახიობი, იქცევა კრიტიკოსად).

სიძულვილის ეს ნაკადი არავითარ შემთხვევაში არ არის გამიზნული იმისთვის, რომ წაადგეს კონსტრუქციულ კრიტიკას და დაეხმაროს შემოქმედს – ის უბრალოდ გამანადგურებელია. მიქაბერიძის დღიურში, ასევე, იკვეთება მისი რეაქციები რუსულ პრესაში (*Sovetskaya cultura*) გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებიც ეხება ქართულ კინოსტუდიას: მოსკოვი საყვედურობს თბილისს, რომ ის ეყრდნობა ხალხურ ზღაპარს, იმის ნაცვლად, რომ გადაიღოს ფილმები თანამედროვე სიუჟეტებზე/თემებზე... ამავდროულად, რუსები თვითონ ქმნიან უამრავ ფილმ-ზღაპარს. რეჟისორის მწარე იმედგაცრუება და ეპიზოდური პროტესტი იგრძნობა

მის ჩანაწერში: "ზოგს აქვს უფლება, სხვებს კი არა!" იგი არ ერიდება ლაპარაკს "იმპერიულ ქედმაღლობაზე".

ასე რომ, წლების განმავლობაში იმედგაცრუებების, ჩაშლილი პროექტებისა და ნახევრადგატეხილი კარიერის შემდეგ, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რასაც მიქაბერიძე წერს 1956 წელს (გვ. 369):

" ჩვენ ვსხედვართ დანესებულებაში და ყურს ვუგდებთ რადიო-ტყუილებს. არის ლაყობა ელექტრო-ენერჯის გადიდების შესახებ მეექვსე ხუთწლედის მანძილზე, ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ და სხვა ამგვარი ზღაპრები. ამ დროს – კი ჩვენი ოჯახები სიბნელეში არიან იმიტომ რომ... . არ ყოფნით ელექტროდენი! სახელმწიფოს ელექტროდენი არ ყოფნის! ჰა-ჰა-ჰა! სასაცილო ამბავია! ყოველ წელიწადს ამ დაწყევლილი ორმოცი წლის მანძილზე დაბეჩავებულ, ენანართმეულ საბჭოთა ადამიანებს ეუბნებიან, აიმედოვნებენ, რომ მომავალში ყველაფერი თავზე საყრელი გექნებათო. მაგრამ ხალხი დარწმუნდა იმაში, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არის აფერისტების, ჟულიკების, სისხლიანი მკვლელებისა და მატყუარების ხროვა და რომ მათი დღენი დათვლილია.

საბჭოთა ხელისუფლება უძღურია მოსკოს სპეკულაცია, ქურდობა, ბანდიტობა, მკვლელობა მხოლოდ იმიტომ, რომ თითონ ხელისუფლება ბანდიტია.

ისტორია იწერება. როგორ შეიძლება ისტორიამ, ხალხმა დაივიწყოს ის მილიონები, რომლებიც საკონცენტრაციო ლაგირებსა და ციხეებში აწამეს, სტანჯეს და დახვრიტეს. თქვე ლაჩრებო, სად წაგვიხვალთ! რა არის საბჭოთა ხელის უფლება?

საბჭოთა ხელისუფლება არის – გიგანტური საკონცენტრაციო ლაგირი; ყველაზე ლაჩარი, მშიშარა სახელმწიფო, რომელსაც თავისი ჩრდილების ეშინია, ხალხის ეშინია, ადამიანების ეშინია; ყოველად მატყუარა სახელმწიფო; დესპოტი, რომელმაც წაართვა საბჭოთა მოქალაქეს ყოველგვარი თავისუფლება, მეობა, ვაჟკაცობა, ხასიათი – ინდივიდუალობა; მთელი ნაციების გამანადგურებელი.

საბჭოთა სახელმწიფო ინგრევა. პატარა სახელმწიფოებმაც, იუგოსლავიამ, ჩაარტყა თავში, გააბითურა.

რის საბჭოთა ხელისუფლება – ეს ხომ ნამდვილი იმპერიალისტური სახელმწიფოა, უფრო უარესი – ფაშისტური სახელმწიფოა! ხალხმა იცის ეს. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"

ეს და კიდევ სხვა სამი მსგავსი წერილი ანონიმურად გაეგზავნა ადგილობრივი ძალაუფლების წარმომადგენლებს და გაზეთ კომუნისტის რედაქციას. ამ წერილების გამო მიქაბერიძეს მიესაჯა ხუთწლიანი¹ პატიმრობა, მაგრამ

¹ დოკუმენტების მიხედვით პროკურორმა მოითხოვა კოტე მიქაბერიძის ხუთწლიანი პატიმრობა: „პროკურორი შუამდგომლობს – დადასტურებულად ჩაითვალოს სამართალში მიცემულ მიქაბერიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ 5810 მუხ. I ნაწ. და ამ მუხლით მიესაჯოს მას 5

ჩამოიყვანეს სამ წელზე, რომლებიც მან გაატარა მორდოვიის ბანაკში. მან ცნო თავისი დანაშაული და თავისი საქციელი ახსნა ღრმა დეპრესიით. სხვადასხვაგვარი სტენოგრამები, ოქმები, გადაწყვეტილებები, ექსპერტების დასკვნები, ცენზურის დოკუმენტები – იძლევა მრავალფეროვან პერსპექტივას, რაც ავლენს უფრო და უფრო მავნე გარემოებას, იმედგაცრუებას და დამცირებას. თავის დროზე მიქაბერიძე იყო არა მარტო პარტიის წევრი, არამედ რალაც მომენტში, ასევე, სტუდიის განყოფილების მდივანი და თანამშრომლებს უტარებდა პოლიტიკური განათლების გაკვეთილებს. დღევანდელი თვალთახედვით, საკმაოდ ძნელია ამ მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ საბჭოთა კავშირის ცხოვრება ასეთი წინააღმდეგობებითაც იყო შემკული. წარუმატებლობას, დეპრესიას და ალკოჰოლიზმს მიჰყავს იმედგაცრუებამდე, მაგრამ ზოგჯერ ეს უთმობს ადგილს მოვალეობის გრძნობას, რომელიც რჩება შეუღალახავი (ვერტოვი).

თუ დავუბრუნდებით ურთიერთობას ცენტრსა და პერიფერიას შორის, მაგრამ ამჯერად უფრო დადებითი თვალსაზრისით, სოსო დუმბაძის და ნინო ძანძავას ნამუშევარი მათებს რამდენიმე შტრიხს იმ დაუსრულებელი მოზაიკას, რომელსაც ქმნიდა ხელოვნების მარცხენა ფრონტის (LEF) მოქმედება. აქ ლაპარაკია კომენტარებზე, რომლებიც ჩამოაყალიბეს შკლოვსკიმ და ტრეტიაკოვმა მიქაბერიძის ფილმის *ჩემი ბებია* სცენარზე. ისინი მრჩევლის სტატუსით მიმაგრებულები იყვნენ ქართულ სტუდიაზე (1927-1929), სწორედ იმ პერიოდში, როდესაც თვითონაც ცუდ სიტუაციაში იმყოფებოდნენ მოსკოვში. შკლოვსკის ეტყობა, რომ ფილმის სცენარის გაბედულობამ მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. ის თვლის, რომ მისი გადაღება ძალიან რთული იქნება, მაგრამ, ამავდროულად, ის აყალიბებს სხვადასხვაგვარ შემოთავაზებებს, რომლებიც კარგად ეთანადება ავტორის მიერ შერჩეულ გროტესკულ და გიჟურად სასაცილო მიმართულებას. (ავტორმა, როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა). ტრეტიაკოვის მიერ ფილმის კრიტიკა ძალიან საინტერესოა და მისი არგუმენტები – დამაჯერებელი. იგი აკრიტიკებს მიქაბერიძეს, რადგან მიიჩნევს, რომ მან ვერ შეძლო სწორად შეემუშავებინა სიუჟეტური ინტრიგა, რომელიც საკმარის მასალას მისცემდა სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის; რომ იგი ურევს ერთმანეთში „ექსცენტრულ“ და „ნატურალისტურ“ სტილებს – ასე რომ, მაყურებელი ძნელად გადადის გროტესკული სიტუაციებიდან სინამდვილეში და პირიქით. ის მიიჩნევს, რომ ხუმრობების ფაქტორი ხშირად სუსტია, ხოლო ზოგიერთი მასალა, რომელიც მიუთითებს ლინდერის რეპერტუარისკენ, ძალიან მიაბიჭურია. ფიქრობს, რომ ზოგიერთი აქსესუარი არის ძალიან თეატრალური და კინოში კარგად არ ინტეგრირდება. ტრეტიაკოვი, ასევე, აღნიშნავს, რომ სატირული ჟანრის გავრცელება შეიძლება საშიში იყოს. ადმინისტრაცია წარმოდგენილია აბსტრაქტული და სქემატური სახით, რაც მას უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებს – თითქოს ეს საზოგადოდ მთელ საბჭოთა ადმინისტრაციას ეხება. გასაგებია, რომ ასეთი არასაიმედო, სულელური ქცევით (რეჟისორიდან კურიერის ჩათვლით) წინ ვერაფერი წაიწევს.

წლის ვადით აღკვეთა.“ (იხ. ქართული გამოცემა, გვ. 436). სასამართლომ მას მიუსაჯა სამი წელი: „კონსტანტინე არჩილის ძე მიქაბერიძე ცნობილ იქნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 5810 მუხ. I ნაწილით და ამ მუხლით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა სამი (3) წლით. წინასწარი პატიმრობა კ. ა. მიქაბერიძეს ჩაეთვალოს 1957 წლის პირველი თებერვლიდან. განაჩენი საკასაციო წესით განსაჩივრებას არ ექვემდებარება.“ (იქვე, გვ. 439). (აქ და შემდგომ შენიშვნები სოსო დუმბაძის).

მიუხედავად ამისა, იგი რეჟისორს წარმატებად უთვლის „ექსცენტრიკული კომედიის შექმნის მცდელობას, რაც ყველაზე რთული ჟანრია საბჭოთა კავშირის გარემოში, სადაც სატირა უდრის პროკურორის კაბინეტში მოხვედრას“. იგი, ასევე, მიესალმება თანამედროვე თემის შერჩევას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეგზოტიკურ და ისტორიულ თემებთან, რომლებსაც სტუდია უპირატესობას ანიჭებს. ანიმაციის გამოყენებას თუ მთლად არ ეთანხმება, ასევე, მიესალმება მეტაფორების შექმნის მცდელობებში ასახულ ექსპერიმენტებს და გამბედაობას: ბიუროკრატი გახვრეტილია ფანქრით და ეს მეტაფორა უშუალო კარიკატურად იქცევა. მიუხედავად ამისა, ტრეტიაკოვის რჩევა იყო, რომ ნახევრად შემცირებული ფორმატით (!) ფილმი საცდელად გაეშვათ მხოლოდ რამდენიმე ეკრანზე.

დავამთავრებთ ამ ნიგნის მიერ წამოყენებულ ორი თემის მოხსენიებით: პირველი ეხება საბჭოთა კავშირის დროს ვარსკვლავად ყოფნის ფენომენს – ისტორიოგრაფიამ ეს არასაკმარისად გამოიკვლია. მიქაბერიძის დღიურის გვერდებზე (გვ. 341-351) აღწერილია, თუ რა დიდი შოკი გამოიწვია ქართველ მაყურებლებში ნატო ვაჩნაძის ავარიაში დაღუპვამ (თვითმფრინავის კატასტროფა, 1953 წ.). საკმაოდ გასაოცარია უცნობი ხალხის მხრიდან გამოხატული პატივი, რომელთა ერთუზიაზმის შეკავება მილიციასაც კი უჭირს; კიდევ უფრო გასაკვირია ეს რეაქცია, როდესაც ვიცით, რომ უკვე დიდი ხანია, რაც მსახიობს აღარ ეკავა ის ადგილი, რომელიც მისი იყო 1920-იან წლებში.

მეორე თემა ეხება ძალაუფლების მატარებელთა და მათზე დამოკიდებულთა ურთიერთობას, რომელიც ძირითადია საბჭოთა არაფორმალურ ეკონომიკაში და, ასევე, ახასიათებს ხელოვნების სხვა დარგებსაც, განსაკუთრებით არქიტექტურას და ფერწერას. თუმცა, ეს აქამდე იშვიათად იყო ასე გამოკვეთილი კინოში. ამ შემთხვევაში ეს არის ბერია, ვინც მფარველობს ქაჯეთის წარმოებას და ვისაც სტუდიის მთავარი რეჟისორი პატივს მიაგებს ფილმის პრეზენტაციის დროს (გვ. 98).

საერთო ჯამში, ნამუშევარი, როგორც ვხედავთ, ინფორმაციის საგანძურია და მისი ინტერესიც აღემატება ერთი რეჟისორის კარიერას, რომელიც საბჭოთა კავშირის პანთეონში მხოლოდ ერთი ფილმით არის შესული (ფილმის ეკრანებზე გამოსვლა დაუშვეს 1968 წელს). ამ თვალსაზრისით, დასანანია, რომ ნიგნის ავტორებმა კიდევ უფრო მეტად არ გამოიყენეს სტუდიისა და პარტიის არქივები (პირველ რიგში, სტუდიის პირველადი არქივები)². მაგრამ მკითხველი თავისუფალია განაგრძოს ძიება და/ან ყურადღება შეაჩეროს სხვა მისთვის უფრო საინტერესო მომენტებზე.

ვალერი პოზნერი

² ავტორი რეცენზიის შედგენისას არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ქართული კინოსტუდიის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დოკუმენტები ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, რომელიც ნიგნის გამომცემლებმა სრულად გაითვალისწინეს. ამდენად, პარტიული არქივი ცალკე არქივად ნიგნში არ ფიგურირებს.

des ressources de cette approche. L'œuvre polygraphe, pléthorique et proliférante d'Eisenstein (qui recommence certains de ses manuscrits dont on a dès lors deux versions parallèles – c'est le cas de *Méthode*) se révèle à cet égard idéale pour faire émerger un discours latent, parfois symptomal, à travers le discours explicite.

